ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2929896

ნომერი: AR1453014

თარიღი : 01.11.2016

გაცემის თარიღი : 04.11.2016

გაცნობის თარიღი : 07.11.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილზე , მრეწველობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლეილა იმერლიშვილი პ/ნ 01017008469
- თბილისი მ.ზანდუკელის ქ. N 3

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: გაურკვეველია არსებული შენობის (რომლის რეკონსტრუქციაც გაქვთ გათვალისწინებული ამ ეტაპზე) კანონიერების საკითხი. წარმოდგენილი იქნას შენობის მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლის შესაბამისი დოკუმენტაცია, მშენებლობის ნებართვის შესაბამისი აქტები, არსებული შენობის კანონიერების დამადასტურებელ სხვა საბუთებთან ერთად. მხოლოდ ზემოაღნიშნული საკითხის დაზუსტების და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ შესაძლებელი იქნება განაცხადის განმეორებით განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, მხოლოდ აღნიშნულის შემდგომ გასათვალისწინებელი იქნება შემდეგი:

- მოთხოვნის ტექსტი განავრცეთ და მასში ასახეთ დეტალური ინფორმაცია სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესახებ.

- წარმოადგინეთ ანაზომი და საპროექტო დოკუმენტაცია (გეგმები, ჭრილები, ფასადები).

- საპროექტო შენობა მდებარეობს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 თებერვლის #104 განკარგულებით განსაზღვრულ შეზღუდვის არეალში, სადაც სამშენებლო/სარეკონსტრუქციო სამუშაოები უნდა შეთანხმდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურთან.

- წარმოსადგენია მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა, მასზე საპროექტო შენობის მონიშვნით.

- წარმოსადგენია საპროექტო შენობის მესაკუთრის, შპს "მშვიდობა"-ს თანხმობა, დამოწმებული შესაბამისი სახით, სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.